ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 352

25 სექტემბერი 2013 წელი ქ. ქუთაისი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-3 მუხლისა 1 პუნქტის „ს'“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ერთის მხრივ თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერია, ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებლის კონსტანტინე ლომიძის სახით, (მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი–ქ.ქუთაისის მერის მ/შემსრულებლის კონსტანტინე ლომიძის წერილი – 23. 09. 2013წ. №01– 6928) (შემდგომში „შემსყიდველი“)

მეორეს მხრივ ინდ. მეწარმის გიორგი ვაშაკიძის სახით (მისამართი: ქ. ქუთაისი, 9 აპრილი ქ. №10/31;) (შემდგომში „მიმწოდებელი“)

ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1. ქალაქ ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული შენობის წინ არსებული შლაგბაუმის შეკეთებისა და უკანა ეზოში ახალი შლაგბაუმის შესყიდვა-მონაჟი.

1.2. ხელშეკრულების ღირებულება **3300** (სამიათასამასი) ლარი.

1.3. კლასიფიკატორის კოდი –**51500000**

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

„შემსყიდველის'' მხრიდან თვითმმართველი ქ. ქუთაისის მერიის შესაბამისი სამსახური "მიმწოდებლის'' მიერ გაწეულ ან უკვე გასაწევ მომსახურებაზე კონტროლს განახორციელებს, თანახმად საქართველოში მოქმედი ნორმების, სტანდარტებისა და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში გააჩნია უფლება შეაჩეროს მომსახურება.

3. გარანტია

„მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ განახორციელებს მომსახურებას მაღალ ეფექტურად და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დადგენილი ნორმების დაცვით.

4. ანგარიშსწორება

ანგარიშსწორება ხორციელდება მიმწოდებლის წერილობითი მომართვის საფუძველზე.

4.2 მიმწოდებლის წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე

უნდა დაერთოს :

ა) ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების მოცულობა და ღირებულება

4.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო

4.4 ანგარიშსწორების ვადაა: შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 (ოცი) სამუშაო დღე.

5.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

5.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ვადაა ხელშეკრულების დადებიდან 1(ერთი) თვე.

5.2 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს წინამდებარე ხელშეკულებაში ცვლილებების შეტანის უფლება მეორე მხარესთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 განხორციელებული მომსახურების დამტკიცებას ახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერი შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე.

7. ფასები

7.1 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები.

7.2 გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ხელშეკრულების შესრულების პროცესში დადგინდა, რომ მასში გათვალისწინებული პირობები არ აკმაყოფილებს თანამედროვე პროგრესულ მოთხოვნებს და ორივე მხარემ გამოთქვა თანხმობა და სურვილი შეიტანონ სათანადო შესწორება ხელშეკრულების პირობებში.

7.3 დაუძლეველი ძალის პირობებში.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1დაუძლეველი ძალის გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

81.1 ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში **1500** (ერთიათასხუთასი) ლარის ოდენობით.

8.1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1 %.

8.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში.

8.4 დაუძლეველი ძალის პირობებში.

9. მხარეთა უფლება მოვალეობები

9.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2 მხარე, რომელსაც შეექმნა დაუძლეველი ძალის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

12. შეტყობინება

12.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე;

12.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში

შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13. გადასახადები და დაბეგვრა

13.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება ძალაშია ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ვადის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში.

14.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან და 2 (ორი) პირი შემსყიდველთან.

15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

ქალაქ ქუთაისის მერია
მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3
ს.ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ქუთაისი ფილიალი
ბ/კოდი: UGEBGE22
ა/ა 33033303
ს/კოდი: 212721170

ქალაქ ქუთაისის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

კონსტანტინე ლომიძე

მიმწოდებელი:

ინდ. მეწარმე
მის: ქ. ქუთაისი, 9 აპრილის ქ. №10/31
ს.ს. „პროკრედიტბანკი"
ქუთაისის ფილიალი
ბ/კოდი: 220101819
ა/ა GE87PC0213600100006400
ს/კ 65002011766

ინდ. მეწარმე

გიორგი ვაშაკიძე